USAID
ამერიკელი ხალხისგან
NATIONAL GOVERNANCE PROGRAM
საჯარო მმართველობის პროგრამა

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსის ბუკლეტი

მარტი 14 - მაისი 18, 2024

საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებული პროექტის „საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორობის გაძლიერებისთვის" ფარგლებში ახორციელებს.

საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსის ბუკლეტი

მარტი 14 - მაისი 18, 2024

საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებული პროექტის „საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორობის გაძლიერებისთვის" ფარგლებში ახორციელებს.

საჯარო პოლიტიკის ანალიზის კურსის ბუკლეტი

მარტი 14 - მაისი 18, 2024

ყოველი სამშაბათი და ხუთშაბათი 17:00სთ
შოთა რუსთაველის ბუტიკ სასტუმროს საკონფერენციო დარბაზი
ტარას შევჩენკოს ქ. 1, თბილისი

14 მარტი - გახსნის ცერემონია
კარგი მმართველობა: ეფექტური მართვის პრინციპები და საჯარო მმართველობის რეფორმა საქართველოში
პროფ. ნინო დოლიძე, ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

19 მარტი - შესავალი საჯარო პოლიტიკის ანალიზში
ნოდარ ტანგიაშვილი, საჯარო პოლიტიკის მრჩეველი, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI)

21 მარტი - საქართველოს ეკონომიკურ გამოწვევებზე და მათი დაძლევის გზებზე
კოტე სულამანიძე, გენერალური დირექტორი, BB დაზღვევა და BB ლიზინგი (ბაზისბანკის ჰოლდინგი)

26 მარტი - პოლიტიკის ნარკვევებისა და პოლიტიკის დოკუმენტების წერა
პროფ. კორნელი კაკაჩია, ჟან მონეს და პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

28 მარტი - საჯარო პოლიტიკის შეფასება
ნოდარ ტანგიაშვილი, საჯარო პოლიტიკის მრჩეველი, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI)

2 აპრილი - კვლევის მეთოდები საჯარო პოლიტიკაში
სანდრო ტაბატაძე, ასისტენტ-პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

4 აპრილი - დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები
ნინო ლოლაძე, ლექტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

11 აპრილი - ციფრული მმართველობა და ინოვაციური ტექნოლოგიები საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირებაში
მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 აპრილი - საჯარო ფინანსები: ბიუჯეტირება, მთავრობის ხარჯები და ბიუჯეტის ღია წყაროები - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მაგალითზე
ბესო ნამჩავაძე, მთავარი ეკონომისტი, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს

18 აპრილი - პოლიტიკის დოკუმენტის აბსტრაქტების განხილვა
პროფ. კორნელი კაკაჩია, ჟან მონეს და პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

23 აპრილი - ჯანდაცვის პოლიტიკის გამოწვევები საქართველოში
თენგიზ ვერულავა, დირექტორი, ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი

25 აპრილი - ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სექტორში
გვანცა ბესელია, ასისტენტ პროფესორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

30 აპრილი - პოლიტიკური პარტიების დაფინანსება და კორუფცია
ლევან ნატროშვილი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

2 მაისი - მდგრადი განვითარების მიზნები და მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა საქართველოში
ხათუნა ჩიკვილაძე, დირექტორის მრჩეველი, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია

7 მაისი - შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური კომუნიკაცია
ჰანს გუთბროდი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

14 მაისი - საჯარო გამოწვევები, ურბანული გადაწყვეტები: თბილისის ურბანული პოლიტიკის მიმოხილვა
ელენე დარჯანია, უფროსი მრჩეველი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობა GIZ

18 მაისი - საჯარო პოლიტიკის ანალიზის საუკეთესო ევროპული გამოცდილება (ონლაინ)
ბრიუსელის მმართველობის სკოლა

- პრაქტიკული ვორქშოფი
- დახურვის ცერემონია

პროგრამის აღწერა

კარგი მმართველობა: ეფექტური მართვის პრინციპები და საჯარო მმართველობის რეფორმა საქართველოში

პროფ. ნინო დოლიძე, ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო დოლიძე არის სოციალური მეცნიერებათა დოქტორი, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის ექსპერტი, უმაღლესი და პროფესიული განათლების აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტი, მკვლევარი, ტრენერი, მონიტორინგისა და შეფასების სერტიფიცირებული ექსპერტი; იგი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ლექტორი კავკასიის უნივერსიტეტში. 2004-2018 წლებში იგი მუშაობდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA) საჯარო მმართველობის მიმართულებისა და კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელად.

ნინო დოლიძე ეწევა სამეცნიერო მუშაობას, ყოველწლიურად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებში, აქვს გამოქვეყნებული არაერთი ნაშრომი საჯარო მმართველობის და პოლიტიკის თემაზე, არის რამდენიმე მონოგრაფიის თანაავტორი, მათ შორის 2013 წელს CRC Press-ის მიერ გამოქვეყნებული წიგნისა, „საჯარო მმართველობა პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში, ყოფილ საბჭოთა კავშირში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და მონღოლეთში“ (ინგლისურ ენაზე).

როგორც ექსპერტი და ტრენერი, ნინო დოლიძე ატარებს კონსულტაციებს და ტრენინგებს საჯარო მმართველობის, სტრატეგიული დაგეგმვის, პოლიტიკის ანალიზის, ზოგადი მენეჯმენტის, ორგანიზაციული მართვის და მომიჯნავე სფეროებში სხვადასხვა საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. იგი არის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული არაერთი პროექტისა და კვლევის მონაწილე, ხელმძღვანელი და წამყვანი ექსპერტი.

მსმენელები გაეცნობიან ეფექტური მართვის პრინციპებს, როგორც ეს განსაზღვრულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად. ასევე, ლექციის პროცესში მიმოხილული იქნება საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებიდან დღემდე საქართველოს საჯარო სექტორში განხორციელებული რეფორმები, ევროკავშირის ევროპული ადმინისტრაციული სივრცის მოთხოვნების ჭრილში; განიხილება რეფორმის ექვსი ძირითადი მიმართულება: საჯარო პოლიტიკა, პოლიტიკის შემუშავება,

განხორციელება და შეფასება; საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა; ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა და ანტიკორუფციული პოლიტიკა; საჯარო სერვისების მიწოდება, ელექტრონული სერვისებისა და ელ-მმართველობის დანერგვა; საჯარო ფინანსების მართვა; და ადგილობრივი თვითმმართველობა. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებული იქნება საჯარო მმართველობის რეფორმის 2023 – 2026 წლის სტრატეგიით განსაზღვრულ პრიორიტეტულ საკითხებზე, მათ შორის საჯარო სამსახურში განხორციელებულ ცვლილებებზე საკანონმდებლო თუ პრაქტიკულ დონეზე; მსმენელები გაეცნობიან საჯარო სამსახურის შესახებ 2015 წლის კანონის მთავარ ასპექტებს და იმსჯელებენ, მათი ხედვით, რამდენად უწყობს ხელს აღნიშნული ცვლილებები საჯარო სექტორის ეფექტურობის ამაღლებას. განხილული იქნება, ასევე, ევროკომისიის მიერ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციისათვის დასახული 9 რეკომენდაცია, რომელთა განხორციელებაც სავალდებულოა ქვეყნისათვის, მოლაპარაკებების ეტაპზე გადასასვლელად, და რომლებიც გულისხმობს: პოლიტიკური პოლარიზაციის დაძლევას; თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფას; საჯარო სამსახურის ინსტიტუტების ეფექტურობისა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას; ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება, და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა კანონშემოქმედებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში. მსმენელები იმსჯელებენ, რამდენად ხდება ამ რეკომენდაციების ასახვა საჯარო მმართველობის რეფორმის პროცესში. გაანალიზებული იქნება წარმატებები და ხარვეზები ზემოაღნიშნულ თითოეულ სფეროში.

შესავალი საჯარო პოლიტიკის ანალიზში

ნოდარ ტანგიაშვილი, საჯარო პოლიტიკის მრჩეველი, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI)

ნოდარ ტანგიაშვილი არის საჯარო პოლიტიკის ანალიზის, დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი. იგი ამავე დროს არის საქართველოში ბრიტანული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. 2011 წლიდან კითხულობს ლექციებს ქართულ უნივერსიტეტში საჯარო პოლიტიკის საკითხებში. ამჟამად მუშაობს USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროექტში და ეხმარება ქართულ ანალიკურ და არასამთავრობო ორგანიზაციების პოლიტიკის კვლევების და ადვოკატირების ჩატარებაში ჯანდაცვის, განათლების და სოციალური უსაფრთხოების საკითხებში. მას მოპოვებული აქვს საჯარო პოლიტიკის მაგისტრის ხარისხი ლონდონის სამეფო კოლეჯიდან და ევროპათმცოდნეობის მაგისტრის ხარისხი ცენტრალური ევროპის უნივერსტიტედიან. ნოდარ ტანგიაშვილს აქვს საკონსულტაციო საქმიანობის გამოცდილება

სტრატეგიული და პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავების კუთხით არაერთ სფეროში.

როგორ უნდა მოვაგვაროთ საზოგადოების წინაშე მდგარი მწვავე პრობლემები - როგორი მიდგომები ჯობია ეკონომიკის, განათლების, ჯანდაცვის თუ ტრანსპორტის სფეროში უკეთესი შედეგების მისაღწევად? მსგავსი დილებების წინაშე მდგარი მთავრობები აუცილებლად საჭიროებენ მტკიცებულებებზე (მონაცემებზე) დაფუძნებულ საჯარო პოლიტიკას და შესაბამისი ხარისხის ანალიზს. რა არის "საჯარო პოლიტიკა" და რა საკითხებს მოიცავს ის? რა არის "საჯარო პოლიტიკის ანალიზი" და რატომ უნდა ვიცოდეთ ის? რითი განსხვავდება "პოლიტიკის ანალიზი" სხვა დისციპლინებისა და პროფესიებისგან? რა ტიპის ანალიტიკურ პროდუქტებს ქმნიან პოლიტიკის ანალიტიკოსები და რა პოზიციებზე მუშაობენ და რა ფუნქციებს ასრულებენ ისინი საჯარო სექტორში თუ სხვა სექტორებში? კურსი ასევე მიმოიხილავს იმ ეტაპებს, რომელსაც მოიცავს საჯარო პოლიტიკის ანალიზის პროცესი - დაწყებული პრობლემის ანალიზიდან, გაგრძელებული პოლიტიკის მიზნების და კრიტერიუმების შერჩევით და გადაწყვეტის სხვადასხვა გზის იდენტიფიცირებით, და დამთავრებული ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის რეკომენდირებით. მოდული ასევე მიმოიხილავს პრობლემის ანალიზის, რომელსაც ასევე უწოდებენ სიტუაციის ანალიზს, მეთოდებს, მაგალითებს. მონაწილეები გაეცნობიან პოლიტიკის მემოს ნიმუშებს. შესავალ მოდულში მათ შეექმნებათ მკაფიო წარმოდგენა იმ პროფესიისა და საკითხების შესახებ, რომელსაც მთელი კურსის განმავლობაში უფრო სიღრმისეულად შეისწავლიან.

საქართველოს ეკონომიკურ გამოწვევებზე და მათი დაძლევის გზებზე

კოტე სულამანიძე, გენერალური დირექტორი, BB დაზღვევა და BB ლიზინგი (ბაზისბანკის ჰოლდინგი)

კოტე სულამანიძე ფლობს საბანკო რისკების მართვის დოქტორის ხარისხს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან. ის არის ჰალტის საერთაშორისო ბიზნესის სკოლის მაგისტრი (ბოსტონი/ლონდონი). ბატონი კოტე არის "ბაზის ბანკის" დირექტორთა საბჭოს წევრი. მას აქვს საბანკო და სხვა ტიპის, კერძო თუ საჯარო სექტორში მმართველობით პოზიციებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ის იყო "ბანკი რესპუბლიკას" დირექტორთა საბჭოს წევრი; "პროგრეს ბანკის", "ფინანსური სექტორის ზედამხედველობის სააგენტოს" და "დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის" აღმასრულებელი დირექტორი.

კურსის ფარგლებში შევეხებით, მსოფლიოს სტანდარტებით დანახულ ეკონომიკას - შემდგომ მოვახდენთ საქართველოს ეკონომიკის გაანალიზებას და მის პოზიციის დანახვას მსოფლიო ეკონომიკაში. ასევე მოვახდენთ საქართველოს ეკონომიკის ძირითადი მაჩვენებლების შესწავლას და ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემების დანახვას. ამის შემდგომ მსმენელები დაიყოფიან ჯგუფებად (თითო ჯგუფში იქნება 4 მონაწილე) და მიეცემათ სამსჯელოთ 20 წუთი რათა თავიანთი თვალთახედვით შეიმუშაონ ჩამოთვლილი პრობლემების დაძლევის გზების დასახვა და შემდგომ მატი ხედვები წარუდნინონ სხვა დამსწრე მსმენელებს.

ბოლოს კი ტრენერი მიერ წარდგენილი იქნება ხსენებული პრობლემების გადაჭრისათვის საქართველოს ხელისუფლების მიერ უკვე განხორციელებული აქტივობები. ტრენინგის ბოლოს კი მოხდება განვლილი მასალის შეჯამება.

პოლიტიკის ნარკვევებისა და პოლიტიკის დოკუმენტების წერა

პროფ. კორნელი კაკაჩია, ჟან მონეს და პოლიტიკის მეცნიერების პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კორნელი კაკაჩია, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ჟან მონეს პროგრამის პროფესორი. ის ასევე არის კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი. კორნელი კაკაჩია იყო საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX) და ღია საზოგადოების ფონდის (OSI) სტიპენდიანტი და მიწვეული მკვლევარი ჰარვარდის უნივერსიტეტის შავი ზღვის უსაფრთხოების პროგრამაში (2009-10), კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტში (2011) და ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის უმაღლესი საერთაშორისო კვლევების სკოლაში. პროფესორი კაკაჩია არის წიგნის "Georgia's Foreign Policy in the 21st Century: Challenges for a Small State" (London, New York: I.B. Tauris, 2021) თანარედაქტორი.

შეხვედრა ორიენტირებული იქნება კონკრეტულ შეკითხვაზე - როგორ უნდა დავწეროთ წარმატებული პოლიტიკის დოკუმენტი?

მონაწილეები გაიაზრებენ პოლიტიკის დოკუმენტის მნიშვნელობას საჯარო პოლიტიკური პროცესის, მისი შეფასების, გადაჭრის გზების ძიების, რეკომენდაციების გაცემის კუთხით. ამასთან, რაც ყველაზე მთავარია, ზედმიწევნით შეისწავლიან დოკუმენტის წერის სტილსა და მის სტრუქტურას.

მონაწილეებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება რჩევები, რომელსაც მიიღებენ, რათა საფუძვლიდანვე სწორად დაგეგმონ წერის მოსამზადებელი ფაზა. გაითვალისწინონ აუდიტორია, დასვან კონკრეტული, აქტუალური პრობლემა, დასახონ გამოსავლის გზები, გააჟღერონ მთავარი გზავნილები საკითხთან მიმართებით და გაზომონ თავიანთი ნაშრომის ძლიერი, სუსტი მხარეები, პოტენციური შესაძლებლობები და ნაკლოვანებები (დოკუმენტი SWOT ანალიზი.)

ლექციის შემდეგ შეხვედრის მონაწილეები შეასრულებენ ორ ჯგუფურ დავალებას:

1. პირველი დავალება გულისხმობს პოლიტიკის დოკუმენტის სტრუქტურის ანალიზსა და მის კრიტიკას. რამდენიმე მონაწილისგან შემდგარ ჯგუფებს დაურიგდებათ სხვადასხვა ტიპის პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებსაც ისინი გაეცნობიან და კონკრეტული შეკითხვების საფუძველზე შეაფასებენ. დავალების მიზანი იქნება მონაწილეებმა უკეთ გაიგონ პოლიტიკის დოკუმენტის სტრუქტურა, მისი მიზანი და შესაბამისობა თემის კონტექსტთან.
2. რამდენიმე მონაწილისგან დაკომპლექტებული ჯგუფს მოუწევს შაბლონის საფუძველზე განსაზღვროს პოლიტიკის დოკუმენტის გეგმა მათთვის სასურველ თემაზე დაყრდნობით.

საჯარო პოლიტიკის შეფასება

ნოდარ ტანგიაშვილი, საჯარო პოლიტიკის მრჩეველი, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI)

ნოდარ ტანგიაშვილი არის საჯარო პოლიტიკის ანალიზის, დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი. იგი ამავე დროს არის საქართველოში ბრიტანული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. 2011 წლიდან კითხულობს ლექციებს ქართულ უნივერსიტეტში საჯარო პოლიტიკის საკითხებში. ამჟამად მუშაობს USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროექტში და ეხმარება ქართულ ანალიკურ და არასამთავრობო ორგანიზაციების პოლიტიკის კვლევების და ადვოკატირების ჩატარებაში ჯანდაცვის, განათლების და სოციალური უსაფრთხოების საკითხებში. მას მოპოვებული აქვს საჯარო პოლიტიკის მაგისტრის ხარისხი ლონდონის სამეფო კოლეჯიდან და ევროპათმცოდნეობის მაგისტრის ხარისხი ცენტრალური ევროპის უნივერსტიტედიან. ნოდარ ტანგიაშვილს აქვს საკონსულტაციო საქმიანობის გამოცდილება სტრატეგიული და პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავების კუთხით არაერთ სფეროში.

პოლიტიკის ანალიზის მეორე ეტაპია კარგად და დეტალურად გაანალიზებული პრობლემის გადაწყვეტა ისეთი გზით, რომელიც იქნება ყველაზე ოპტიმალური ეფექტურობის, ეფექტიანობის, ეკონომიის, სამართლიანობის და სხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით. რა გზით ჯობია წამლების ფასის შემცირება, ან საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდის კონტროლი, ან საცობების შესამცირებლად მგზავრების მასობრივი გადაყვანის ორგანიზება? რომელი არ დააწვება დიდ ტვირთად ბიუჯეტს, არ დააზიანებს ეკონომიკას, არ იქნება უსამართლო, მაგრამ თან მიაღწევს დასახულ მიზნებს? უამრავი მაგალითი არსებობს, როცა საზოგადოების წინაშე მწვავე პრობლემების გადაწყვეტის გზა ბევრნაირია, მაგრამ მათი შედეგების წინასწარი პროგნოზირება აუცილებელია. ასევე ხშირად გვაინტერესებს (უნდა გვაინტერესებდეს) თუ რა შედეგი გამოიღო უკვე გატარებულმა "რეფორმამ". როგორ გავიგოთ ეს? ამ მოდულში ვისაუბრეთ საჯარო პოლიტიკის როგორც წინასწარ, ისე განხორციელების შემდგომ შეფასების სხვადასხვა მეთოდზე და ტექნიკებზე, დაწყებული მრავალ-კრიტერიუმიანი (მულტიფაქტორული) ანალიზით და როგორ შევადგინოთ გადაწყვეტის გზების და მათი მოსალოდნელი შედეგების თაობაზე ცხრილები, ისე უფრო დახვეწილ მეთოდებზე, მათ შორის ხარჯებისა და სარგებლის ანალიზი, რეგულაციის ზეგავლენის შეფასება (RIA), ექსპერიმენტული კვლევები და სხვა. მოვიყვანთ მაგალითებს როგორც საქართველოდან, ისე სხვა ქვეყნებიდან. მონაწილეებს ეცოდინებათ, რა გზით უნდა მიიღონ და გაანალიზონ მონაცემები იმისათვის, რომ გააკეთონ დასკვნა, თუ მთავრობის რომელი პოლიტიკა "მუშაობს" და რომელი - არა.

კვლევის მეთოდები საჯარო პოლიტიკაში

სანდრო ტაბატაძე, ასისტენტ-პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სანდრო ტაბატაძე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასისტენტ-პროფესორი. იგი ამავე დროს არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი. მისი კვლევითი ინტერესები დაკავშირებულია შედარებით საჯარო პოლიტიკასთან, პოლიტიკის ტრანსფერთან და ევროპეიზაციის პროცესებთან. ასისტენტ-პროფესორი ტაბატაძე არის სალექციო კურსის "შედარებითი საჯარო პოლიტიკა" ავტორი. გარდა ამისა, მას აქვს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში საჯარო პოლიტიკის ანალიზისა და კვლევის გამოცდილება. ამჟამად სანდრო ტაბატაძე არის CBHE-ის პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმის განვითარების პროექტის ხარისხის მართვის საბჭოს

თავმჯდომარე. ამავდროულად, მას აქვს ტრენერობისა და ფასილიტატორობის გამოცდილება USAID-ისა და EU-ს მიერ მხარდაჭერილ არაფორმალური განათლების პროექტებში.

ტრენინგის მიზანია მონაწილეებმა მიიღონ ფართო და სისტემური ცოდნა საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის, ანალიზისა და იმპლემენტაციის პროცესში აუცილებელი კვლევის მეთოდების შესახებ. ტრენინგის განმავლობაში მიმოხილული იქნება მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის, როგორც მტკიცებულებებზე დაფუძნებული საჯარო პოლიტიკის ინსტრუმენტის საკითხი და მნიშვნელობა. ამასთან, ტრენინგი სხვადასხვა ილუსტრაციებისა და შემთხვევის შესწავლის მაგალითების გამოიყენებით დაფარავს საჯარო პოლიტიკიაში გავრცელებულ კვლევის მეთოდებს, მათ უპირატესობებს, ნაკლოვანებებსა და ქართულ კონტექსტში მათი გამოყენების თავისებურებებს. შემდგომ აუდიტორია დაიყოფა ჯგუფებად, ისინი გაეცნობიან რეალურ მაგალითებს და უნდა ამოიცნონ რომელი კვლევის მეთოდია გამოყენებული და რამდენად ეფექტურად; ხოლო, შემდეგ თავად გაეცნობიან კონკრეტულ ქვესექტორთან დაკავშირებული პოლიტიკის პრობლებს და მას უნდა მოარგონ განხილული კვლევის მეთოდები.

დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები

ნინო ლოლაძე, ლექტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

ნინო ლოლაძე არის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ლექტორი, კითხულოს ლექციებს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისა და ბიუჯეტირების საკითხებზე.

სხვადასხვა პროექტების ფარგლებში აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან. ნინო ლოლაძის ექსპერტული მხარდაჭერით მომზადდა მუნიციპალიტეტების სტრატეგიული განვითარების დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, პროგრამული და გენდერული ბიუჯეტები. ამასთან ჩართულია მუნიციპალიტეტებში მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვის პროცესში.

ნინო ლოლაძე ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე მომზადებული სხვადასხვა სახელმძღვანელოების თანაავტორია.

შეხვედრის დროს განხილული იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის არსი და მნიშვნელობა, მისი როლი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში; დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები; სახელმწიფო ხელისუფლებისა და

ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთობა; ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები; ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური საფუძვლები და ბიუჯეტირება; მოქალაქეთა ჩართულობა ადგილობრივი დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შეხვედრის დროს ძირითადი აქცენტები გაკეთდება როგორ ხორციელდება საჯარო პოლიტიკა მუნიციპალიტეტების დონეზე. რა ფაქტორები ახდენს გავლენას საჯარო პოლიტიკის ფორმირების დროს; რა ტიპის პოლიტიკის დოკუმენტებია მუნიციპალურ დონეზე შემუშავებული და როგორ ხდება მათი იმპლემენტაცია.

ციფრული მმართველობა და ინოვაციური ტექნოლოგიები საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირებაში

მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მერაბ ლაბაძე 2012 წლიდან არის მოწვეული ლექტორი ელექტრონულ მმართველობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შპაიერის ადმინისტრაციული მეცნიერებების უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში, ხოლო 2013 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში ხელმძღვანელობს კურსს - ინოვაცია და ტექნოლოგია საჯარო ადმინისტრირებაში.

მას გააჩნია 15 წლიანი საკონსულტაციო გამოცდილება ელექტრონული მმართველობის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების და ციფრული განათლების სფეროში, რაც გამოხატულია ანგარიშებში, კვლევებში, სტრატეგიებსა და პოლიტიკის სხვა დოკუმენტებში - მათ შორის ვროკავშირის, აშშ-ს საერთაშორისო დახმარების სააგენტოს, გაეროს, ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით.

სხვა პუბლიკაციებთან ერთად მერაბ ლაბაძე არის თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული მეცნიერებების სახელმძღვანელოს ელექტრონული მმართველობის ქვეთავის ავტორი (2018).

2010 წლის ბოლოდან არის ინოვაციური განათლების ფონდის თანადამფუძნებელი და დირექტორი. ორგანიზაციის საქმიანობა მიმართულია განათლების პროცესში ინოვაციების დანერგვაზე, მეცნიერების პოპულარიზაციაზე, თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და ტექნოლოგიების განათლების პროცესში ეფექტიანად გამოყენებაზე.

მერაბ ლაბაძე არის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ჰუბერტ ჰამფრის სტიპენდიატი განათლების ადმინისტრირების, პოლიტიკისა და პრაქტიკის განხრით (2008-2009); თსუ-ს

ფიზიკის მაგისტრი. გავლილი და ჩატარებული აქვს მრავალრიცხოვანი მოკლევადიანი გადამზადების კურსები ელ. მმართველობაში და ელ. სწავლებაში.

მიმოხილული იქნება ციფრული მმართველობის წინაპირობები და ისტორია მსოფლიოში და საქართველოში. განხილულ იქნება ელექტრონული მმართველობის მოდელები და კლასიფიკაცია, ელექტრონული დემოკრატია და მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც საჯარო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის ინსტრუმენტი; ასევე, საჯარო სერვისების ელექტრონული/ციფრული არხებით მიწოდება, როგორც ელ. მმართველობის განვითარების ერთერთი მთავარი ინდიკატორი. განხილულ იქნება საჯარო პოლიტიკაში ციფრული და ინოვაციური მიდგომების დაგეგმვის და განხორციელების საუკეთესო პრაქტიკები. წარმოდგენილი იქნება ქეისი და მონაწილეებს მიეცემათ ჯგუფური დავალება ანალიტიკური კითხვებით (20 წუთი). ასევე გამოყენებული იქნება კითხვა პასუხი და ონლაინ ინსტრუმენტები (ქუიზი, გამოკითხვა, რანჟირება). ლექცია ასევე შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ახალი საჯარო მენეჯმენტის პრაქტიკები ციფრულ მმართველობაში, კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოება, ბოლო პერიოდის ინოვაციების (ხელოვნური ინტელექტი, ბლოქჩეინი, ვირტუალური/დამატებით რეალობა) გამოყენების პრაქტიკა და პერსპექტივები საჯარო მმართველობაში.

ლექციის ბოლოს გაიმართება მსჯელობა საქართველოში ციფრული მმართველობის განვითარების გამოწვევებზე, კონკრეტული გადაწყვეტილებების შეთავაზებით სტუდენტების მხრიდან.

საჯარო ფინანსები: ბიუჯეტირება, მთავრობის ხარჯები და ბიუჯეტის ღია წყაროები - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მაგალითზე

ბესო ნამჩავაძე, მთავარი ეკონომისტი, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს

ბესო ნამჩავაძე არის „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მთავარი ეკონომისტი. ის ფლობს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხებს. გავლილი აქვს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვენის ინსტიტუტის გამოყენებითი ეკონომიკური პოლიტიკის კურსი და იაპონიის ფინანსთა სამინისტროს სასწავლო კურსი სახელმწიფო ფინანსებში. ბესოს აქვს 18 წლიანი სამუშაო გამოცდილება ეკონომიკაში, სახელმწიფო ფინანსების მენეჯმენტსა და კვლევებში. 2012 წლიდან კითხულობს ლექციებს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში. 2015 წლიდან არის ჟურნალ "Forbes Georgia"-ს კოლუმნისტი. ის მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, საქართველოს რეფორმების ასოციაციაში

და პოლიტიკისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო ჯგუფში. როგორც ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში, ხშირად აკეთებს კომენტარს ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი პრესისთვის.

ტრენინგი დაიწყება საჯარო ფინანსების როლზე და საბიუჯეტო სისტემის მოწყობაზე საუბრით. ნაჩვენები იქნება ბიუჯეტირების ძირითადი ეტაპები: როგორ არის მიბმული საჯარო პოლიტიკა ბიუჯეტზე. მონაწილეები გაეცნობიან ბიუჯეტირების ძირითად პრინციპებს საქართველოში. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მაგალითზე ავხსნი ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების კლასიფიკაციებს. მნიშვნელოვანია მსმენელები გაერკვნენ საბიუჯეტო ტერმინოლოგიაში, რომ მომავალში დამოუკიდებლად შეძლონ ბიუჯეტის წაკითხვა. გავაცნობ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების ღია წყაროებს ინტერნეტში - როგორ მოიპოვონ ინფორმაცია.

საჯარო პოლიტიკის ანალიზის დროს ხშირად ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკის ეკონომიკური ეფექტის შესწავლა, რა გავლენას იქონიებს პოლიტიკა მთავრობის შემოსავლებზე და ხარჯებზე. შესაბამისად, სახელმწიფო ფინანსებში უკეთ გარკვევა სტუდენტებს მომავალში დაეხმარებათ საჯარო პოლიტიკის უფრო სრულყოფილი შედეგები დაინახონ.

რადგან ტრენინგის მთავარი მიზანი ბიუჯეტის არსის გაგებაა, მონაწილეებს ექნებათ ინდივიდუალური პრაქტიკული დავალება. ტრენერის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა შეადგინონ ქვეყნის ბიუჯეტის მარტივი, მიკრო მოდელი.

ჯანდაცვის პოლიტიკის გამოწვევები საქართველოში

თენგიზ ვერულავა, დირექტორი, ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტი

პროფ. თენგიზ ვერულავა არის ჯანდაცვის პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი. იგი ამავე დროს არის კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი. მას მოპოვებული აქვს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან. იგი საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის "ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია" მთავარი რედაქტორია. თენგიზ ვერულავა არის 17 წიგნის და 400-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი როგორც ქართულ ასევე საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში (10h-index SCOPUS). 2018 წელს მიენიჭა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო „წლის საუკეთესო მეცნიერი სიცოცხლის შემსწავლელ და ჯანდაცვის მეცნიერებების მიმართულებებით“. იგი არის მრავალი საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი. 2001 წლიდან ჯანდაცვის ეკონომისტთა

საერთაშორისო ასოციაციის (IHEA) წევრია. ფლობს კონსულტირების და ტრენინგების ჩატარების 25 წლიან გამოცდილებას ჯანდაცვის პოლიტიკის, ჯანდაცვის ეკონომიკის, ჯანდაცვის სოციოლოგიის გლობალური ჯანდაცვის, სადაზღვევო საქმის მიმართულებებით.

მიმოხილული იქნება ჯანდაცვის პოლიტიკის მიზნები, სისტემები, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის გამოწვევები. ახსნილი იქნება ჯანდაცვის უმთავრესი მახასიათებლები, რითაც განსხვავდება ჩვეულებრივი ბაზრისაგან და შედეგად საჭიროებს სოციალური დაზღვევის ან საყოველთაო სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის შექმნას. განიხილება ჯანდაცვის სისტემის მიზნები, ფუნქციები, ჯანდაცვის დაფინანსების სისტემის მოდელები; ჯანდაცვის დანახარჯები საქართველოში და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული ინდიკატორები თუ მინიმუმ რამდენი უნდა დახარჯოს სახელმწიფომ ჯანდაცვის სექტორში; ჯანდაცვის ხარჯების ზრდის მიზეზებს და მათი გადაწყვეტის გზებს. შევეხებით სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას და პირველადი ჯანდაცვის როლს ჯანდაცვის სექტორში. განვიხილავთ საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სუსტი განვითარების მიზეზებს და მათი დაძლევის მექანიზმებს; სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ფორმებს მსოფლიოში და ამ მხრივ საქართველოში არსებულ გამოწვევებს, ფარმაცევტული ინდუსტრიის რეგულირების მეთოდებს და საქართველოში დაწყებულ რეფორმებს.

აქტივობა: ჯგუფური აქტივობის ფარგლებში აუდიტორია დაიყოფა ჯგუფებათ (თითო ჯგუფში იქნება 4-5 მონაწილე). თითოეულ ჯგუფს მიეცემა დავალება რომ წარმოადგინონ თავიანთი შეხედულება საქართველოში ჯანდაცვის სისტემის გამოწვევების დასაძლევად. ამისათვის ჯგუფებს მიეცემათ გარკვეული დრო (დაახლოებით 20 წუთი). წარმოდგენილი ხედვების შეფასების შემდეგ მოხდება მათი შეჯერება და შეჯამება.

ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სექტორში

გვანცა ბესელია, ასისტენტ პროფესორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

გვანცა ბესელია არის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ასისტენტ პროფესორი და ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (შპაიერი) ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის - „საჯარო მმართველობა“- მოწვეული ლექტორი. იგი ამავე დროს არის საჯარო სამსახურის ბიუროს საჯარო სამსახურში ადამიანური კაპიტალის განვითარების დეპარტამენტის უფროსი. მას მოპოვებული აქვს სამართლის დოქტორის ხარისხის გერმანიის ადმინისტარციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტში (შპაიერი). მას აქვს როგორც მენეჯერული,

ასევე მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება. ატარებს ტრენინგებს ადამიანური რესურსების მართვის, ეთიკისა და კეთილსინდისიერების, მართვისა და ლიდერობის საკითხებზე. არის ეთიკისა და კეთილსინდისიერების, ასევე ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებზე რამდენიმე პუბლიკაციის ავტორი და „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების კომენტარების თანაავტორი.

ეთიკურ სტანდარტებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საჯარო სექტორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ის ფასეულობები, რომლებიც გათავისებული აქვს გადაწყვეტილების მიმღებსა თუ საჯარო პოლიტიკის შემმუშავებელს, მნიშვნელოვნად განაპირობებს ღირებულებით არჩევანს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას თუ პოლიტიკის განსაზღვრისას. ხშირად საჯარო პოლიტიკების უმეტესობა შესაძლოა არ იყოს მორალურად ნათელი, უკავშირდებოდეს კონფლიქტურ ფასეულობებს, სადაც ან ხდება არჩევანის რაციონალიზაცია ან ვიწრო ინტერესებზე გამარჯვება რაღაც უფრო დიდი ღირებულების სანაცვლოდ. განსაკუთრებულ სირთულეს საჯარო სექტორში ქმნის ისიც, რომ ყოველთვის ყველაფერი არ იზომება სიკეთისა და ბოროტების, ცუდის თუ კარგის განზომილებაში. ხშირია ე.წ. „ნაცრისფერი“ სივრცეები, როდესაც გადაწყვეტილება არ სრულდება სრულად სიკეთის გამარჯვებით ან სრულად ბოროტების აღმოფხვრით. ამ სახის გადაწყვეტილების კონტექსტში, ხშირად იკარგება საერთო ვალდებულება, საერთო ღირებულებები ან კონკრეტული მიზანი და ჩნდება ურთიერთსაწინააღმდეგო ვალდებულებები/ინტერესები, რომლებიც ეფუძნება განსხვავებულ ღირებულებებს ან რწმენა-წარმოდგენებს.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსება და კორუფცია

ლევან ნატროშვილი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

ლევან ნატროშვილს არჩევნებზე დაკვირვებასა და ანტიკორუფციულ საქმიანობაში დიდი გამოცდილება აქვს. იგი ამჟამად „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ (ISFED) აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეა, სადაც ის ორგანიზაციას კონსულტაციას უწევს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში, ზედამხედველობს ორგანიზაციულ მუშაობას და პუბლიკაციებს, ასევე, ასრულებს ორგანიზაციის წარმოადგენლობით ფუნქციებს. ლევანი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორიცაა, წარსულში კი იგივე პოზიცია ეკავა სხვადასხვა პრესტიჟულ დაწესებულებებში, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს უნივერსიტეტში. ლევანს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საარჩევნო

პროცესებში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების უზრუნველობის კუთხით, როდესაც იგი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ პროგრამების მენეჯერის როლში ხელმძღვანელობდა არჩევნებზე დაკვირვებასთან და პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგთან დაკავშირებულ საკითხებს. გარდა ამისა, ლევანი ზოგიერთ საკითხზე კონსულტაციას უწევდა ისეთ ცნობილ საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორიცაა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES). კენტუკის უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ვაჭრობის მაგისტრის ხარისხით, ლევანი საკუთარ აკადემიურ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას ისეთი საკითხებს ახმარს როგორიცაა პოლიტიკური კორუფცია, ფულის როლი პოლიტიკაში და არჩევნები. ის ამ მიმართულებით დაწერილი არაერთი პუბლიკაციის ავტორი და კვლევის ხელმძღვანელია.

სესიის ფარგლებში საუბარი იქნება ფულის როლზე პოლიტიკაში. კერძოდ, მიმოხილული იქნება ისეთი თემები როგორიცაა: პოლიტიკური პარტიების შემოსავლები და ხარჯები, ფინანსების გამჭვირვალობა, ანგარიშგება და მასზე ეფექტიანი ზედამხედველობა. აქცენტი გაკეთდება როგორც ჩამოთვლილი საკითხების რეგულირების კარგ საერთაშორისო სტანდარტებზე,, ისე ამ მხრივ საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე.

გარდა ამისა, სტუდენტები გაეცნობიან, თუ როგორ უნდა მოიძიონ და გაანალიზონ პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე არსებული ინფორმაცია ღია წყაროების გამოყენებით.

ამის შემდეგ სტუდენტები დაიყოფიან ჯგუფებად და, მიღებული ცოდნის გამოყენებით, შეასრულებენ პრაქტიკულ დავალებას, კერძოდ, შეისწავლიან კონკრეტული პოლიტიკური პარტიების შემომწირველებს და კვლევის შედეგებს მოკლედ წარადგენენ.

მდგრადი განვითარების მიზნები და მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა საქართველოში

ხათუნა ჩიკვილაძე, დირექტორის მრჩეველი, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია

დოქტორი ხათუნა ჩიკვილაძე არის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ დირექტორის მრჩეველი გარემოს დაცვით საკითხებში. იგი მაღალი დონის პროფესიონალია

გარემოს დაცვის სფეროში 20 წელზე მეტი მუშაობის გამოცდილებით- გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის (ლაბორატორიული კვლევების ჩათვლით), გარემოს დაცვითი საკითხების დაგეგმვისა და გარემოს მართვის სფეროში. იგი, როგორც ექსპერტი მონაწილეობდა და მონაწილეობს საერთაშორისო (დონორები: EBRD, UNDP/GEF, USAID, GIZ, EU, Sida, NATO) პროექტებში, რომლების დაკავშირებულია: ნარჩენების მართვის, კლიმატის ცვლილების, ნიადაგის, ჰაერის და წყლის ხარისხის მონიტორინგის საკითხებთან, რეგიონების განვითარების სტრატეგიულ მიმართულებების განსაზღვრასთან გარემოს დაცვის სფეროში.

მან 1987 წელს მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიკოსის დიპლომი (წარჩინებით), 2009 წელს - მაგისტრის ხარისხი გარემოს იუნესკოს წყლის ინსტიტუტიდან (UNESCO-IHE) ნიდერლანდებში. 2008 წელს მან ასევე მიიღო დოქტორის ხარისხი გეოგრაფიაში საქართველოში. დოქტორი ჩიკვილაძე არის საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდის (GFSIS/CIDA) სტიპენდიანტი (2004-2005).

2004 წლიდან 2012 წლის მაისამდე მუშაობდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სადაც მისი ძირითადი ფუნქციები მოიცავდა გარემოს დაცვის სფეროში საჭიროებებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირებას, მონაწილეობას სხვადასხვა გარემოსდაცვითი სტრატეგიისა და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში.

იგი არის 20 მეტი სამეცნიერო სტატიისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი.

ტრენინგზე მიმოხილული იქნება მდგრადი განვითარების მიზნები, არსებული ჩარჩო დოკუმენტები-მდგრადი განვითარების დღის წესრიგისა (2016წ.) და „2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის.“ მდგრადი განვითარების მიზნები და გარემოსდაცვა, გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების პრიორიტეტები ეროვნულ დონეზე, გამოწვევები.

განხილული იქნება მწვანე ეკონომიკის კონცეფცია, მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება, მსგავსება და განსხვავება მწვანე ეკონომიკასა და ცირკულარულ ეკონომიკას შორის. საუკეთესო გამოცდილება/განვითარებული ქვეყნების მაგალითები. ასევე გაანალიზებული იქნება კავშირი მწვანე ეკონომიკასა და მდგრად განვითარებას შორის, ქვეყანაში მწვანე ეკონომიკის განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები, საზოგადოების ჩართულობის/მონაწილეობის საკითხები; მონაწილეები დაიყოფიან ჯგუფებად, მიეცემათ გარკვეული დრო დავალებებისათვის. მოხდება ჯგუფების მიერ დავალების შედეგების აუდიტორიისათვის გაზიარება. ტრენერთან ერთად ხედვების შეჯერება. განხილული იქნება დავალების საკითხებზე საქართველოში არსებული მდგომარეობა და გამოწვევები მაგალითად, გარემოსდაცვის სფეროში-ნარჩენების მართვის სექტორში.

გაიმართება დისკუსია, სადაც განხილული იქნება ეკოლოგიური და ეკონომიური კრიზისების ურთიერთდამოკიდებულება; სოციო-ეკონომიკური პროგრესის განსხვავებული /ახლებური

კონცეფცია დაფუძნებული ადამიანისა და ბუნების ურთიერთკავშირის ახლებურად გააზრებაზე.

სესიის საბოლოო მიზანს წარმოადგენს მონაწილეების მიერ მდგრადი განვითარების მიზნებისა და მწვანე ეკონომიკის ძირითადი საკითხების შესახებ ცოდნის მიღება, საქართველოში არსებული მდგომარეობისა და გამოწვევების გააზრება, რომ მათ ჩამოუყალიბდეთ ხედვა SDGs და მწვანე ეკონომიკის დანერგვის მნიშვნელობაზე ქვეყნის განვითარებაში; მონაწილეთა, როგორც საზოგადოების წევრთა მოტივაციის ამაღლება აღნიშნული საკითხების განხილვა/გადაწყვეტილებების მიღებაში; მონაწილეთა, როგორც მომავალი ლიდერების პოტენციალი, როლი არსებული პრობლემების გადაწყვეტაში.

შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკური კომუნიკაცია

ჰანს გუთბროდი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰანს გუთბროდი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. მას აქვს პოლიტიკის კვლევის კონსულტანტად მუშაობის ფართო გამოცდილება. ის წერდა პოლიტიკურ პროცესებზე, ეთიკასა და კომემორაციაზე. ჰანსი კოლეგებთან ერთად ხელმძღვანელობდა გავლენიან კამპანიას - Transparify, რომლის მიზანიც კვლევების დაფინანსების გამჭვირვალობის ზრდა იყო. ის გარკვეული დროის განმავლობაში იკავებდა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრების (CRRC) რეგიონული დირექტორის თანამდებობას. ჰანსი 1999 წლიდან მუშაობს კავკასიის რეგიონში და აქვს ლონდონის ეკონომიკის სკოლის დოქტორის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში. მისი ბოლო წიგნი „პოლიტიკური აღნიშვნების ეთიკა: ახალი პარადიგმისკენ“ (დევიდ ვუდთან ერთად, 2023 წ.) გვთავაზობს იდეას, რომ სამართლიანი ომის ტრადიციას შეუძლია ხელი შეუწყოს ხსოვნის შესახებ საჯარო დებატების კონსტრუირებას.

როგორ შეგიძლია მოახდინო გავლენა კომუნიკაციით? ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც ხშირად უგულებელყოფილია, არის ვიკიპედია. ეს ქსელი მკაფიო ილუსტრაციაა იმისა, რომ ძირითადი ფაქტები ფართოდ ჩანს, დადასტურდა და გავლენიანია. ამავდროულად, ვიკიპედიას აქვს თავისი წესები - ის არ არის სოციალური ქსელი მოსაზრებების გამოქვეყნებისთვის. მისი ზოგიერთი პრინციპი გასათვალისწინებელია განსხვავებული პოლიტიკური კომუნიკაციისას. ამ ინტერაქციულ სესიაზე ჩვენ ერთად ვიმუშავებთ, რათა განვიხილოთ ონლაინ არსებული პოლიტიკური პრობლემები, რაც დაგვეხმარება ეფექტური კომუნიკაციის გზაზე დასადგომად.

ჩვენ ასევე ვისაუბრებთ, თუ როგორ უკავშირდება ეს პრაქტიკა ანალიტიკური ცენტრის კომუნიკაციებს, რომლებთანაც მე დაახლოებით 15 წელზე მეტია ვმუშაობ. **მნიშვნელოვანია:** გთხოვთ, დარეგისტრირდეთ ვიკიპედიის მომხმარებლის სახელით (ჩვეულებრივ ფსევდონიმით) სესიის დაწყებამდე. შეხვედრისას ამის დრო არ გვექნება. https://en.wikipedia.org/w/index.php?title=Special:CreateAccount&returnto=Wikipedia:Why_create_an_account%3F

საჯარო გამოწვევები, ურბანული გადაწყვეტები: თბილისის ურბანული პოლიტიკის მიმოხილვა

ელენე დარჯანია, უფროსი მრჩეველი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობა GIZ

ელენა დარჯანია არის ქალაქმგეგმარებელი, მკვლევარი და განმანათლებელი. მისი გამოცდილება მოიცავს თანამშრომლობას საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორსა და აკადემიურ საქმიანობას. ურბანული განვითარების პოლიტიკა, ინოვაციები და გამოყენებითი კვლევები არის ელენას მთავარი ინტერესები. ამჟამად ელენა არის უფროსი მრჩეველი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოში (GIZ), სადაც ის ხელმძღვანელობს გუნდს ამბიციური ამოცანით - ინოვაციური თანამონაწილეობითი მეთოდების გამოყენებით, საქართველოს ქალაქებმა შეიმუშაონ ფინანსირებისათვის მზა, კლიმატზე ორიენტირებული, ინტეგრირებული ურბანული განვითარების პროექტები. გარდა ამისა, ელენა ასწავლის ურბანულ/არქიტექტურულ აზროვნებას თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში. ელენამ დაიცვა არქიტექტურის მაგისტრის ხარისხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში და ურბანული დიზაინის მაგისტრის ხარისხი აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტში, აშშ, სადაც ის ფულბრაიტის სტიპენდიანტი იყო.

ურბანული პოლიტიკა არის საჯარო პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რადგან სწორედ ის უზრუნველყოფს სექტორული პოლიტიკების ერთ კონკრეტულ "ადგილზე მიბმასა" და მათ შორის კონფლიქტების შემცირებას. შეხვედრაზე, თბილისის მაგალითზე, განვიხილავთ რა უნიკალური გამოწვევები დგას ურბანულ მმართველობის წინაშე დღეს და რა კონკრეტული მექანიზმები არსებობს მათ აღმოსაფხვრელად. მოდულის გავლის შედეგად მონაწილეებს შეეძლებათ იმსჯელონ სისტემურ კავშირებზე ურბანული პოლიტიკის ისეთ სფეროებს შორის, როგორიცაა საცხოვრისი და სოციალური სერვისები, უსაფრთხოება და მედეგობა, დასაქმება, გადაადგილება/მობილობა და დასვენება/რეკრეაცია.

პრაქტიკული მონაწილეები გაეცნობიან ე.წ. “საპროექტო არეალს”, კონკრეტულ ტერიტორიას თბილისში. რის შემდეგაც მონაწილეები დაიყოფიან ჯგუფებად და შეადგენენ სისტემურ რუკებს ცალკეული საკითხებისათვის. სავარჯიშოს მეორე ნაწილში ეს რუკები გაერთიანდება ერთ დიდ სისტემად და ჯგუფი იმსჯელებს როგორ მოქმედებენ ამ სფეროებში მიღებული გადაწყვეტილებები ერთმანეთზე. სავარჯიშოს მესამე ნაწილში მონაწილეები გამოავლენენ სისტემაში ჩარევის ადგილებსა და შეუთავსებენ წინასწარ მოცემულ ურბანული მენეჯმენტის კონკრეტულ მექანიზმებს (ზონირება, ნორმირება, ფისკალური მექანიზმები, პარტნიორობები, საზოგადოების ჩართულობა, ტექნოლოგიები და ინოვაციები).